



**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის  
შესრულების მიმოხილვა**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

*ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი*

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
<b>შემოსავლები</b>	<b>148,347.8</b>	<b>79,390.8</b>	<b>82,525.6</b>
გადასახადები	31,300.0	24,530.0	23,512.8
გრანტები	80,422.8	38,264.8	36,710.2
სხვა შემოსავლები	36,625.0	16,596.0	22,302.6
<b>ხარჯები</b>	<b>83,925.3</b>	<b>41,588.7</b>	<b>39,637.3</b>
შრომის ანაზღაურება	20,119.8	10,793.7	10,324.7
საქონელი და მომსახურება	30,340.9	15,116.4	14,524.8
პროცენტი	4,204.3	1,691.8	1,684.7
სუბსიდიები	11,993.0	7,015.8	6,687.5
გრანტები	10.0	2.0	1.5
სოციალური უზრუნველყოფა	7,979.5	3,923.2	3,599.3
სხვა ხარჯები	9,277.8	3,045.8	2,814.8
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>64,422.5</b>	<b>37,802.1</b>	<b>42,888.3</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>46,868.5</b>	<b>17,220.5</b>	<b>15,683.6</b>
ზრდა	60,598.5	26,520.5	24,209.3
კლება	13,730.0	9,300.0	8,525.7
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>17,554.0</b>	<b>20,581.6</b>	<b>27,204.7</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>553.6</b>	<b>9,494.4</b>	<b>16,411.2</b>
ზრდა	657.5	9,494.4	16,411.2
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	9,160.2	16,077.0
აქციები და სხვა კაპიტალი	657.5	334.2	334.2
კლება	103.9	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	103.9	0.0	0.0
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-17,000.4</b>	<b>-11,087.2</b>	<b>-10,793.5</b>
კლება	17,000.4	11,087.2	10,793.5
საშინაო	17,000.4	11,087.2	10,793.5
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>



*ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება*

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>162,077.8</b>	<b>88,690.8</b>	<b>91,051.3</b>
შემოსავლები	148,347.8	79,390.8	82,525.6
არაფინანსური აქტივების კლება	13,730.0	9,300.0	8,525.7
<b>გადასახდელები</b>	<b>162,181.7</b>	<b>79,530.6</b>	<b>74,974.3</b>
ხარჯები	83,925.3	41,588.7	39,637.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	60,598.5	26,520.5	24,209.3
ფინანსური აქტივების ზრდა	657.5	334.2	334.2
ვალდებულებების კლება	17,000.4	11,087.2	10,793.5
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-103.9</b>	<b>9,160.2</b>	<b>16,077.0</b>

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 91,051.3 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2017 წლის მთლიანი გეგმიური მაჩვენებლის 56.2%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 23,512.8 ათასი ლარი (შემოსულობების - 25.8%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 36,710.2 ათასი ლარი (შემოსულობების - 40.3%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 22,302.6 ათასი ლარი (შემოსულობების - 24.5%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 8,525.7 ათასი ლარი (შემოსულობების - 9.4%).


**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები**



№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>82,525.6</b>	<b>90.6%</b>
1.1	გადასახადები	23,512.8	25.8%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	36,710.2	40.3%
1.3	სხვა შემოსავლები	22,302.6	24.5%
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>8,525.7</b>	<b>9.4%</b>
<b>ჯამი</b>		<b>91,051.3</b>	<b>100%</b>

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები







№	შემოსულობების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>148,347.8</b>	<b>79,390.8</b>	<b>82,525.6</b>	<b>3,134.8</b>	<b>103.9%</b>
1.1	გადასახადები	31,300.0	24,530.0	23,512.8	-1,017.2	95.9%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	80,422.8	38,264.8	36,710.2	-1,554.6	95.9%
1.3	სხვა შემოსავლები	36,625.0	16,596.0	22,302.6	5,706.6	134.4%
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>13,730.0</b>	<b>9,300.0</b>	<b>8,525.7</b>	<b>-774.3</b>	<b>0.0%</b>
<b>ჯამი</b>		<b>162,077.8</b>	<b>88,690.8</b>	<b>91,051.3</b>	<b>2,360.5</b>	<b>102.7%</b>

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 56.2%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები წლიურ გეგმასთან მიმართებაში





### შემოსავლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 79,390.8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 82,525.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.9%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

### გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 23,512.8 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 24,530.0 ათასი ლარის 95.9%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 25.8%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



**საშემოსავლო გადასახადი** - საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით მუნიციპალურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან შემოდის: საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან. აღნიშნულ სახეში მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 3,250.0 ათას ლარს, საკასო - 2,924.2 ათას ლარს, შესრულდა 90.0%-ით. კერძოდ, გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან - 1,455.5 ათასი ლარი; გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 74.5 ათასი ლარი; გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან - 1,137.3 ათასი ლარი; არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა - 255.3 ათასი ლარი და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გაუქმებული ფიქსირებული გადასახადიდან დაბეგვრის ობიექტზე - 1.6 ათასი ლარი.

**ქონების გადასახადი** - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2017 წლის 6 თვის გეგმიური მაჩვენებელი 21,280.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 20,588.6 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 96.8%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



№	დასახელება	2017 წლის ბეგმა	2017 წლის 6 თვე			
			ბეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	%
1	<b>სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:</b>	<b>24,300.0</b>	<b>21,280.0</b>	<b>20,588.6</b>	<b>-691.4</b>	<b>96.8%</b>
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	21,930.0	21,280.0	20,551.0	-729.0	96.6%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,020.0	0.0	50.6	50.6	-
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,350.0	0.0	-13.0	-13.0	-

**ფინანსური დახმარება და გრანტები**

2017 წლის 6 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 36,710.2 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 38,264.8 ათას ლარს რაც შესრულდა 95.9%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 18,771.4 ათას ლარს, სხვა სპეციალური ტრანსფერის - 2,082.0 ათასი ლარი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 15,856.8 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 40.3%-ია.

**სხვა შემოსავლები**

სხვა შემოსავლების 2017 წლის 6 თვის საპროგნოზო მოცულობა 16,596.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22,302.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 134.4%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 24.5%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

**საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 630.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (430.0 ათასი ლარი) 146.6%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 162.1 ათასი ლარი;



- რენტის სახით მიღებულია 468.4 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 54.8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე - 413.6 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 18,641.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13,806.0 ათასი ლარი) 135.0%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 18,626.8 ათასი ლარი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 204.7 ათასი ლარი;

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 1.6 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 2.8 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 16,846.4 ათასი ლარი, მათ შორის:

*სამორინის მაგიდიდან – 6,156.0 ათასი ლარი;*

*სათამაშო აპარატებიდან – 9,079.1 ათასი ლარი;*

*სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან – 1,470.0 ათასი ლარი;*

*წამახალისებელი გათამაშებიდან – 30.8 ათასი ლარი;*

*კლუბის მაგიდიდან – 48.0 ათასი ლარი;*

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 62.5 ათასი ლარი;

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 667.5 ათასი ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 903.8 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 14.2 ათასი ლარი;






სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 2,356.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,000.0 ათასი ლარის) 117.8%-ია.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 674.6 ათასი ლარი. გეგმა 360.0 ათას ლარს შეადგენს ე.ი. შესრულდა 187.4%.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები





**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>36,625.0</b>	<b>16,596.0</b>	<b>22,302.6</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>1,125.0</b>	<b>430.0</b>	<b>630.5</b>
პროცენტები	400.0	130.0	162.1
რენტა	725.0	300.0	468.4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	100.0	50.0	54.8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	625.0	250.0	413.6
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>30,750.0</b>	<b>13,806.0</b>	<b>18,641.0</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	30,750.0	13,806.0	18,626.8
სანებართვო მოსაკრებელი	450.0	230.0	204.7
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			1.6
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			2.8
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	27,800.0	12,200.0	16,846.4
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	500.0	376.0	667.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,000.0	1,000.0	903.8
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>14.2</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან			14.2
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>4,000.0</b>	<b>2,000.0</b>	<b>2,356.5</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>750.0</b>	<b>360.0</b>	<b>674.6</b>



### არაფინანსური აქტივების კლება

2017 წლის 6 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 8,525.7 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს 18.5 ათას ლარს, შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 25.6 ათას ლარს, მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი - 8,359.0 ათას ლარს და შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან - 122.5 ათას ლარს.

### **ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება**


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი 9,160.2 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 16,077.0 ათასი ლარი.



**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):

**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში**






**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში**

№	გადასახდელების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
<b>1</b>	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>13,172.3</b>	<b>5,957.2</b>	<b>5,771.0</b>	<b>96.9%</b>	<b>9.0%</b>
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	8,593.6	4,258.0	4,086.3	96.0%	6.4%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	346.0	0.0	0.0		
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4,204.3	1,691.8	1,684.7	99.6%	2.6%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	28.4	7.4	0.0	-	0.0%
<b>2</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>21.0</b>	<b>8.0</b>	<b>6.3</b>	<b>78.8%</b>	<b>0.01%</b>
<b>3</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>42,331.6</b>	<b>18,550.5</b>	<b>16,728.0</b>	<b>90.2%</b>	<b>26.2%</b>
3.1	ტრანსპორტი	40,054.0	17,903.8	16,282.8	90.9%	25.5%
3.2	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	2,277.6	646.7	445.2	68.8%	0.7%
<b>4</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>11,582.1</b>	<b>5,544.7</b>	<b>5,417.5</b>	<b>97.7%</b>	<b>8.5%</b>
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	7,358.2	3,704.0	3,703.9	100.0%	5.8%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	4,223.9	1,840.7	1,713.6	93.1%	2.7%
<b>5</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>28,594.8</b>	<b>13,310.3</b>	<b>12,947.4</b>	<b>97.3%</b>	<b>20.3%</b>
5.1	კომუნალური მეურნეობის განვითარება	9,437.6	3,070.0	2,829.3	92.2%	4.4%
5.2	წყალმომარაგება	12,604.5	7,343.0	7,342.9	100.0%	11.5%
5.3	გარე განათება	5,456.8	2,516.7	2,410.1	95.8%	3.8%
5.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,095.9	380.6	365.1	95.9%	0.6%
<b>6</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>3,839.1</b>	<b>1,789.6</b>	<b>1,684.4</b>	<b>94.1%</b>	<b>2.6%</b>
<b>7</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>22,459.2</b>	<b>11,615.2</b>	<b>10,660.5</b>	<b>91.8%</b>	<b>16.7%</b>
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	16,330.3	8,182.0	7,518.7	91.9%	11.8%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	5,847.3	3,366.2	3,085.5	91.7%	4.8%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	281.6	67.0	56.3	-	0.1%
<b>9</b>	<b>განათლება</b>	<b>13,983.1</b>	<b>6,973.8</b>	<b>6,648.6</b>	<b>95.3%</b>	<b>10.4%</b>
<b>10</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>8,540.6</b>	<b>4,359.9</b>	<b>3,982.9</b>	<b>91.4%</b>	<b>6.2%</b>
<b>გადასახდელების ჯამი</b>		<b>144,523.8</b>	<b>68,109.2</b>	<b>63,846.6</b>	<b>93.7%</b>	<b>100%</b>

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ქრილში (გეგმა-ფაქტი)**



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 5,957.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 5,771.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.9%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საერთო დანიშნულების მომსახურება, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები და წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 9.0%-ს.

თავდაცვის სფეროზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 6.3 ათასი ლარით, გეგმა - 8.0 ათასი ლარი.



**ეკონომიკური საქმიანობისთვის** დაგეგმილი იყო 18,550.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 16,728.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 90.2%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 26.2%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობას, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის და მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის ხარჯებს.

**გარემოს დაცვაზე** გათვალისწინებული იყო 5,544.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 5,417.5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 97.7%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობის და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 8.5%-ია.

**საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე** გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, სანიტარული დაცვის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების ხარჯები, შეადგენდა 13,310.3 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 12,947.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 97.3%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20.3%-ს.

**ჯანმრთელობის სფეროს** დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1,789.6 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1,684.4 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 94.1%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.6%-ს.

**დასვენების, კულტურისა და რელიგიის** სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 11,615.2 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 10,660.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91.8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 16.7%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია პარკების, სკვერებისა და მოედნების



ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის ხარჯები, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის ხარჯები, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ღონისძიებები, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის ღონისძიებები, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის ხარჯები, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის ხარჯები, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, სპორტისა და დასვენების დაწესებულებების მიმდინარე, ასევე მათი რეაბილიტაციის ხარჯები და ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის და სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ღონისძიებები.


**განათლების სფეროზე** გათვალისწინებული იყო 6,973.8 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 6,648.6 ათას ლარს, ანუ გეგმის 95.3%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ასევე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.4%-ს.

**სოციალურ დაცვაზე** დაგეგმილი იყო 4,359.9 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 3,982.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.4%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.2%-ს.

### ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:





№	გადასახდელების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	20,119.8	10,793.7	10,324.7	95.7%	13.8%
2	საქონელი და მომსახურება	30,340.9	15,116.4	14,524.8	96.1%	19.4%
3	პროცენტი	4,204.3	1,691.8	1,684.7	99.6%	2.2%
4	სუბსიდიები	11,993.0	7,015.8	6,687.5	95.3%	8.9%
5	გრანტები	10.0	2.0	1.5	75.0%	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	7,979.5	3,923.2	3,599.3	91.7%	4.8%
7	სხვა ხარჯები	9,277.8	3,045.8	2,814.8	92.4%	3.8%
8	არაფინანსური აქტივები	60,598.5	26,520.5	24,209.3	91.3%	32.3%
9	ფინანსური აქტივები	657.5	334.2	334.2	100.0%	0.4%
10	ვალდებულებები	17,000.4	11,087.2	10,793.5	97.4%	14.4%
<b>გადასახდელების ჯამი</b>		<b>162,181.7</b>	<b>79,530.6</b>	<b>74,974.3</b>	<b>94.3%</b>	<b>100%</b>

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 10,324.7 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 13.8%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 14,524.8 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 19.4%-ია.



**პროცენტების დაფარვის ხარჯებმა** შეადგინა 1,684.7 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2.2%-ია.

**სუბსიდიის** სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 6,687.5 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8.9%.

**გრანტებზე** საანგარიშო პერიოდში დაფინანდა 1.5 ათას ლარს.

**სოციალურ უზრუნველყოფაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3,599.3 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 4.8%.

**სხვა ხარჯებზე** გაიხარჯა 2,814.8 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 3.8%-ია.

**არაფინანსური აქტივების ზრდამ** შეადგინა 24,209.3 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების – 32.3%.

**ფინანსური აქტივების ზრდამ** შეადგინა 334.2 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების – 0.4%.

**ვალდებულებების კლებაზე** მიიმართა 10,793.5 ათასი ლარი, ხვედრითი წილი – 14.4%.

### ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ქრილში

პროგრამულ ქრილში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:



კოდი	დასახელება	2017 წლის ბეგმა	2017 წლის 6 თვე		
			ბეგმა	საკასო ხარჯი	შესრუ- ლების %
<b>01 00</b>	<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>	<b>28,940.8</b>	<b>16,243.6</b>	<b>16,050.5</b>	98.8%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,621.5	824.7	791.2	95.9%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	6,758.3	3,348.2	3,223.9	96.3%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	20,465.0	12,052.8	12,028.4	99.8%
01 04	სარეზერვო ფონდი	45.9	1.8		
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	28.4	7.4		
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	21.7	8.7	7.0	80.5%
<b>03 00</b>	<b>ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება</b>	<b>89,645.9</b>	<b>41,798.9</b>	<b>38,839.4</b>	92.9%
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	38,841.5	17,467.6	15,546.4	89.0%
03 02	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება	6,979.2	3,262.9	3,242.4	99.4%
03 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	17,080.9	9,436.2	9,278.9	98.3%
03 04	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	14,309.9	7,640.5	7,258.6	95.0%
03 05	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია და აღდგენა	8,989.4	2,877.0	2,667.7	92.7%
03 06	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	2,277.6	646.7	445.2	68.8%
03 07	ქალაქის დაგეგმარება	998.2	383.4	327.7	85.5%
03 08	მუნიციპალური სერვისების განვითარება	169.2	84.6	72.5	85.7%
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>13,983.6</b>	<b>6,974.3</b>	<b>6,649.1</b>	95.3%
04 01	სკოლამდელი განათლება	13,823.6	6,888.3	6,573.6	95.4%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	160.0	86.0	75.5	87.8%
<b>05 00</b>	<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</b>	<b>16,398.4</b>	<b>8,161.3</b>	<b>7,573.1</b>	92.8%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	11,677.1	5,839.2	5,396.8	92.4%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4,439.7	2,255.1	2,120.0	94.0%
05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	281.6	67.0	56.3	84.0%
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>13,213.0</b>	<b>6,352.5</b>	<b>5,862.2</b>	92.3%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4,079.6	1,754.9	1,652.7	94.2%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	8,546.4	4,365.7	3,988.7	91.4%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	587.0	231.9	220.8	95.2%
<b>გადასახდელების ჯამი</b>		<b>162,181.7</b>	<b>79,530.6</b>	<b>74,974.3</b>	<b>94.3%</b>



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ქრილში**

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ექვსი თვის გადასახდელებმა შეადგინა 16,050.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 16,243.6 ათასი ლარი. შესრულებამ შეადგინა 98.8%, მათ შორის:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ექვსი თვის ხარჯებმა შეადგინა 791.2 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 824.7 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 95.9%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 590.8 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე – 161.4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე – 33.8 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივებზე – 5.3 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ექვსი თვის ხარჯებმა შეადგინა 3,223.9 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,348.2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 96.3%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 2,413.2 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე – 764.3 ათასი ლარი, გრანტებზე – 1.5 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე – 18.9 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე – 2.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებზე – 21.7 ლარი, ვალდებულებების კლებაზე – 21.7 ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვაზე მიიმართა 12,028.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 12,052.8 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.8%, აქედან:

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯებზე გათვალისწინებული იყო 98.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 98.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.9%. მათ შორის პროცენტების დაფარვაზე მიიმართა 30.2 ათასი ლარი, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვაზე – 68.1 ათასი ლარი.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯებზე გათვალისწინებული იყო 11,954.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 11,930.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.8%. რაც სესხის ძირითადი თანხის დაფარვაზე მიიმართა.

წვევამდელთა ტრანსპორტირებითვის გათვალისწინებული იყო 8.7 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 80.4%-ით (საკასო ხარჯი – 7.0 ათასი ლარი).



**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების**

ხარჯებმა შეადგინა 38,839.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 41,798.9 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 92.9%, საიდანაც:

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის** ხარჯებმა შეადგინა 15,546.3 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,467.5 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 89.0%, კერძოდ:

**გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის** ხარჯებმა შეადგინა 1,084.3 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,088.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.6%. აქედან საქონელი და მომსახურების ხარჯები შეადგენს – 1,061.4 ათას ლარს, ვალდებულებების კლება - 22.9 ათას ლარს.

**საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის** ხარჯებმა შეადგინა 12,044.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 13,854.7 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 86.9%. აქედან არაფინანსური აქტივები შეადგენს – 11,979.0 ათას ლარს, ვალდებულებების კლება - 65.5 ათას ლარს.

**გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის** ხარჯებმა შეადგინა 2,417.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,524.2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 95.8%. აქედან საქონელი და მომსახურების ხარჯები შეადგენს – 1,708.6 ათას ლარს, არაფინანსური აქტივები შეადგენს – 701.5 ათას ლარს ვალდებულებების კლება - 7.4 ათას ლარს.

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარების პროგრამის**

ხარჯებმა შეადგინა 3,242.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,262.9 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.4%, რომელიც მიიმართა შემდეგ ქვეპროგრამებზე კერძოდ:

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვის ქვეპროგრამის** ხარჯებმა შეადგინა 526.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 545.9 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 96.4%. აქედან საიდანაც შრომის ანაზღაურება - 262.3 ათას ლარს, საქონელი და მომსახურების ხარჯები – 264.1 ათას ლარს.



**მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების ქვეპროგრამის ხარჯებმა** შეადგინა 2,716.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,717.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 100%.

**საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაზე** 2017 წლის ექვს თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 9,436.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 9,278.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.3%-ია, აქედან:

**სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობაზე** მიიმართა 1,734.0 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 1,861.2 ათას ლარს \_ 93.2% შესრულებით, აქედან საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა 779.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები შეადგენს \_ 933.9 ათას ლარს, ვალდებულებები - 20.4 ათასი ლარი.

**წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე** მიიმართა 202.0 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 232.0 ათას ლარს \_ 87.1% შესრულებით.

**ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსებაზე** 7,342.9 ათასი ლარი მიიმართა, რაც გეგმის 7,343.0 ათასი ლარის 99,9%-ია. პროექტი სრულდება გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტით, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის სრულ რეაბილიტაციას. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა პროექტის თანადაფინანსების სახით დამატებული ღირებულების გადასახადის და და სხვა გადასახადების დაფარვა.

**ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაზე** 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 7,640.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 7,258.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.0%-ია, აქედან:

**ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ქვეპროგრამაზე** გათვალისწინებული იყო 3,704.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 3,704.0 ათასი ლარი 99.9%-იანი შესრულებით.

**პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის დაზუსტებული გეგმა** შეადგენდა 533.6 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 502.2 ათასი ლარი, 94.1%-იანი შესრულებით.



**ქალაქის გამწვანების ღონისძიებებზე** გეგმით გათვალისწინებული იყო 1,227.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1,131.6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.2%. საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 362.5 ათასი ლარი, ხოლო საქონელსა და მომსახურებაზე – 606.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 162.8 ათასი ლარი.

**სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის ქვეპროგრამის ფარგლებში** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 778.1 ათასი ლარით, გეგმა 878.2 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 88.6%-ია, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 417.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 350.4 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 1.7 ათასი ლარი და ვალდებულებები - 8.1 ათასი ლარი.

**ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის ქვეპროგრამის** საკასო ხარჯმა შეადგინა 965.5 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 1,113.0 ათასი ლარი, შესრულება – 86.7%. საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 662.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 302.8 ათასი ლარი.

**ქალაქის გაფორმების ღონისძიებებზე** მიმართული იყო 184.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 177.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.0%-ია.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟის პროგრამაზე** 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 2,877.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 2,667.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 92.7%-ია, აქედან:

**ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 2,667.7 ათასი ლარით, გეგმა 2,877.0 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 92.7%-ია, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 339.6 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 156.6 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 1.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე – 2,004.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 3.9 ათასი ლარი, ვალდებულებები - 161.5 ათასი ლარი.

**მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობის პროგრამაზე** 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 646.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 445.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 68.8%-ია, აქედან:



**მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 209.1 ათასი ლარით, გეგმა 217.6 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 96.1%-ია, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 181.6 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 20.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 7.2 ათასი ლარი.

**მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის** დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 429.1 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 236.1 ათასი ლარი, ე. ი. გეგმის 55.0%.

**ქალაქის დაგეგმარების პროგრამაზე** 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 383.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 327.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.5%-ია, აქედან:

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის** დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 182.0 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 126.4 ათასი ლარი, ე. ი. გეგმის 69.4%.

**საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის** დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 201.4 ათას ლარს, რაც 100%-ით იქნა დაფინანსებული.

**მუნიციპალური სერვისების განვითარების პროგრამაზე** 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 84.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 72.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.7%-ია, აქედან:

**ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და ბილინგის სისტემის შექმნის ქვეპროგრამაზე** გათვალისწინებული იყო 84.6 ათასი ლარი, რაც შესრულდა 85.7%-ით.

**განათლების პროგრამებზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6,649.1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 6,974.3 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 95.3%-ით, აქედან:

**სკოლამდელი განათლებისათვის** გათვალისწინებული იყო 6,888.3 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6,573.6 ათასი ლარი, რაც შესრულდა 95.4%-ით, რომელიც მიიმართა შემდეგ პროგრამებზე, კერძოდ:

**ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების** მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 5,449.3 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 5,763.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 94.5%-ს შეადგენს, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3,160.6 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 2,242.6 ათასი ლარი, სოციალურ





უზრუნველყოფაზე - 25.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებზე - 20.1 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე - 0.5 ათასი ლარი.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 1,124.2 ათასი ლარი, რაც შესრულდა 99.9%-ით, გეგმა 1,124.5 ათასი ლარი.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული იყო 86.0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 75.5 ათასი ლარი, რაც შესრულდა 87.8%-ით, რომელიც მიიმართა შემდეგ პროგრამებზე, კერძოდ:

პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე გათვალისწინებული იყო 46.0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 35.5 ათასი ლარი, რაც შესრულდა 77.2%-ით.

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იყო 40.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 100%-ით.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პროგრამებით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7,573.1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 8,161.3 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 92.8%-ით, რომელიც მოიცავს:

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 5,396.8 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმის (5,839.2 ათასი ლარი) 92.4%-ია, აქედან;

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე გათვალისწინებული იყო 142.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 140.5 ათასი ლარით, შესრულება 98.3%.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 2,747.3 ათასი ლარი, რაც შესრულდა 89.8%-ით, გეგმა 3,059.2 ათასი ლარი.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობაზე გათვალისწინებული იყო - 12.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 7.8 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 64.9%.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის ქვეპროგრამაზე გათვალისწინებული იყო 1,811.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,805.0 ათასი ლარით, შესრულება 99.7%-ია.

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის დაფინანსდა 494.1 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 534.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 92.4%. მათ შორის შრომის



ანაზღურებაზე მიიძღრთა 189.1 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 297.7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე \_ 6.7 ათასი ლარი და სხვა ხარჯებზე \_ 0.6 ათასი ლარი.

**მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის** გათვალისწინებული იყო 59.0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 53.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 89.8%-ით.

**ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-სათვის** გათვალისწინებული იყო 128.3 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 83.5 ათასი ლარი, რაც შესრულდა 65.1%-ით. მათ შორის შრომის ანაზღურებაზე მიიძღრთა 28.8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 51.7 ათასი ლარი და სხვა ხარჯებზე \_ 3.0 ათასი ლარი.

**ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბისათვის** გათვალისწინებული იყო 78.9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 65.6 ათასი ლარი, რაც შესრულდა 83.1%-ით. მათ შორის შრომის ანაზღურებაზე მიიძღრთა 27.5 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 38.1 ათასი ლარი.

**ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომისათვის** გათვალისწინებული იყო 13.0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა.

**კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის** ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2,120.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 94.0%-ით (გეგმა \_ 2,255.1 ათასი ლარი), აქედან:

**კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერაზე** გათვალისწინებული იყო - 135.0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 117.6 ათასი ლარი, რაც შესრულდა 87.1%-ით.

**ხელოვანთა ხელშეწყობაზე** გათვალისწინებული იყო - 8.0 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 1.9 ათასი ლარით, შესრულება 23.5%.

**ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის ქვეპროგრამის დაზუსტებული გეგმა** შეადგენდა 1,685.9 ათას ლარს, რაც ათვისებული იქნა 95.3%-ით, (საკასო \_ 1,606.5 ათასი ლარი), საიდანაც შრომის ანაზღურებაზე მიიძღრთა 995.4 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 611.1 ათასი ლარი.



ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 387.7 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 411.2 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 94.3%. საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 308.1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 38.2 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 3.4 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 0.2 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 37.9 ათასი ლარი.

მემორიალების პროექტების შედგენაზე გათვალისწინებული იყო - 15.0 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 6.4 ათასი ლარით, შესრულება 42.4%.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 56.3 ათასი ლარი, რაც შესრულდა 84.0%-ით (გეგმა - 67.0 ათასი ლარი), აქედან:

ახალგაზრდული ცენტრის დაფინანსებაზე გათვალისწინებული იყო - 56.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 87.2%-ით (საკასო - 48.8 ათასი ლარი).

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 6.0 ათას ლარს, რაც ათვისებული იქნა 100.0%-ით, (საკასო - 6.0 ათასი ლარი).

სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ქვეპროგრამის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5.0 ათას ლარს, რაც ათვისებული იქნა 29.5%-ით, (საკასო - 1.5 ათასი ლარი).

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ექვსი თვის ხარჯებმა შეადგინა 5,862.1 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 6,352.5 ათასი ლარი, რაც აღნიშნული თანხის 92.3%-ს შეადგენს, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ხარჯებმა შეადგინა 1,652.7 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 1,652.7 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 94.2%, კერძოდ, განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები:

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 198.6 ათასი ლარი, რაც შესრულდა 88.4%-ით (გეგმა - 175.6 ათასი ლარი).



**ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის ქვეპროგრამაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 0.2 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 10.9 ათასი ლარი, შესრულება 2.1%-ია.

**ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობის ქვეპროგრამის** ხარჯებმა შეადგინა 14.5 ათასი ლარი, გეგმა 20.5 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულებამ შეადგინა 70.9%.

**ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ქვეპროგრამით** გათვალისწინებული გეგმა შეადგენდა 46.2 ათას ლარს, ხარჯვა შეადგენს 36.7 ათას ლარს, რაც 79.4%-ია.

**მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების ქვეპროგრამით** გათვალისწინებული გეგმა შეადგენდა 76.9 ათას ლარს, დაფინანსდა 76.3 ათასი ლარით, შესრულდა 99.2%-ით.

**C ჰეპატიტის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსების ქვეპროგრამით** გათვალისწინებული გეგმა შეადგენდა 102.5 ათას ლარს, შესრულდა 83.5%-ით, დაფინანსება - 85.6 ათასი ლარი.

**ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის ქვეპროგრამის დაზუსტებული გეგმა** შეადგენდა 130.1 ათას ლარს, რაც ათვისებული იქნა 97.3%-ით, (საკასო \_ 126.6 ათასი ლარი).

**ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების ქვეპროგრამით** გათვალისწინებული იყო 83.4 ათასი ლარი, ხარჯმა შეადგინა 66.5 ათასი ლარი ანუ შესრულდა 79.7%-ით.

**ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამით** გათვალისწინებული იყო 90.0 ათასი ლარი, ხარჯმა შეადგინა 90.0 ათასი ლარი ანუ შესრულდა 100%-ით.

**მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარებისათვის** გათვალისწინებული იყო 460.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 446.5 ათასი ლარი, გეგმის 97.1%.



**ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება** - გათვალისწინებული იყო 535.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 534.2 ათასი ლარი, გეგმის 99.7%.

**სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაზე** 2017 წლის ექვსი თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა 3,988.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის \_ 4,365.7 ათასი ლარის 91.4%-ია. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები:

**კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამის** ფარგლებში გახარჯული იქნა 269.2 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 331.8 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 81.1%.

**მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის** ფარგლებში გახარჯული იქნა 538.9 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 539.4 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.9%.

**მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამაზე** საკასო ხარჯმა შეადგინა 718.9 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 782.0 ათასი ლარი შესრულებამ შეადგინა 91.9%.

**მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამის** საკასო ხარჯმა შეადგინა 404.6 ათასი ლარი 95.2%-იანი შესრულებით, გეგმით გათვალისწინებული იყო 425.1 ათასი ლარი.

**მუნიციპალური უფასო სასადილოს ქვეპროგრამაზე** გახარჯული იქნა 1,313.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 1,510.0 ათასი ლარის 87.0%-ია. საიდანაც შრომის ანაზღაურება - 380.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 924.4 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 2.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებზე - 0.5 ათასი ლარი და ვალდებულებები - 5.4 ათასი ლარი.

**დროებითი ღამის თავშესაფარის ქვეპროგრამაზე** გახარჯული იქნა 109.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 118.4 ათასი ლარის 92.2%-ია. საიდანაც შრომის ანაზღაურება - 3.7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 105.4 ათასი ლარი, ვალდებულებები - 0.1 ათასი ლარი.



საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერაზე გათვალისწინებული იყო - 3.8 ათასი ლარი, რაც არ დაფინანსებულა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარებაზე მიიმართა 634.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 655.2 ათასი ლარის) 96.8%-ია.

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამაზე 2017 წლის ექვსი თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა 220.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის \_ 231.9 ათასი ლარის 95.2%-ია. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები:

**ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის ქვეპროგრამის** 6 თვის ხარჯებმა შეადგინა 32.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (35.9 ათასი ლარის) 91.6%-ს შეადგენს.

**დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებების ქვეპროგრამის** მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 115.1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 122.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 93.9%.

**მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ქვეპროგრამის** 6 თვის ხარჯებმა შეადგინა 72.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (73.4 ათასი ლარის) 99.1%-ს შეადგენს.

**ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 750,000 ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.5%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2017 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 704,053 ლარი შეადგინა, თანხები მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

№	ბრძანება		შინაარსი	გამოყოფილი თანხა
	თარიღი	№		



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

1	<b>30.01.2017 13.02.2017</b>	<b>106 153</b>	2017 წლის 29 იანვარს ხანძრის შედეგად ქ. ბათუმში თამარის დასახლება №32-ში (ზარაკი 32) დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოზინადრების (ექვსი ოჯახის, 3 დღე-ღამე ვადით საცხოვრებელში განთავსების მომსახურების საფასურის დაფარვა) დროებით საცხოვრებელით უზრუნველყოფის მიზნით	300
2	<b>02/02/17</b>	<b>123</b>	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2017 წლის 27 იანვრის, ოქმი №1 (კორექტირებული) მატერიალური დახმარების მიზნით	15,541
3	<b>02/02/17</b>	<b>128</b>	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2017 წლის 31 იანვრის ოქმი №1) მატერიალური დახმარება	12,000
